სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №35

ქ. რუსთავი **20 აპრილი 2022 წელი**

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ერთიგონი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესარიონ მოსეშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტებში შემავალი პროგრამების შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები- საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური აღრიცხვა - ანგარიშგების პროგრამული სისტემა („ESBA" – Electronic system for budger accaunting), რომელიც ინტეგრირებულია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან, 2022 წლის ვერსიის შესყიდვა. (**CPV48400000**)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3540.00** (სამიათასხუთასორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" დირექტორი**, გაერთიანების საფინანსო, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელი მზია იობაშვილი ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **შპს „ერთიგონი"**-ს დირექტორი.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება.

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 პროგრამის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

6.2 პროგრამის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1 განახორციელოს ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება

7.2 უზრუვველყოს საფინანსო (საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის და ა.შ) სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების,სხვა საინფორმაციო დოკუმენტებისა და მათში ცვლილებებისა და დამატებების დაუყონებლივი ასახვა ელექტრონულ სისტემაში (პროგრამაში).

7.3 უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის სისტემასთან ელექტრონული წვდომის უზრუნვლყოფის შემთხვევაში.

7.4 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა შესყიდვის ობიექტის მიმწოდებლის სერვისზე განთავსების შემთხვევაში.

7.5 ხელშეკრულების პერიოდში უსაყიდლოდ გადასცეს პროგრამაში დანერგილი სიახლეები.

7.6 შემსყიდველი ვალებულია:

7.7 დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.8 თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი და უზრუნვლყოს მათი დაცვა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება” (წარმოდგენილი.გაერთიანების საფინანსო, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელი მზია იობაშვილი

8.1 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად, ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **2%**-ის ოდენობით, ხოლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.2%**-ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით დამოწმების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავისსაბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20 ს/კ 216439325 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	**შპს „ერთიგონი“** მის: ქ. თბილისი, ზაქარაიას №34 საიდენტიფიკაციო კოდი №200248384 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა #GE93TB1143936020100002
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს **დირექტორი**	**შპს „ერთიგონი“ -ს დირექტორი**
ეკატერინა ხუციშვილი	**ბესარიონ მოსეშვილი**

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY

Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2022.04.20 17:57:27 +04'00'

LTD ERTIGONI

Digitally signed by LTD ERTIGONI
DN: cn=LTD ERTIGONI, 2.5.4.97=NTRGE-200248384, o=••••••••••••, c=GE
Date: 2022.04.20 16:08:38 +04'00'